13/12/2020

რუსეთის პატრიარქმა ანდრიაობის დღესასწაულზე წირვა აღავლინა

2020 წლის 13 დეკემბერს, წმიდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ სადღესასწაულო საღვთო ლიტურგია აღავლინა პერედელკინოს მახლობლად მდებარე სკიტის წმიდა მთავარ ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში.

რუსეთის პატრიარქმა უკანასკნელ თვეებში, პანდემიის მიზეზით დამკვიდრებული ტრადიციით, წირვა სრულიად მარტომ, სამღვდელოებისა და მრევლის გარეშე, თავის მორჩილებაში მყოფი რამდენიმე მონაზვნის თანდასწრებით აღავლინა.

— wenews.ge